შპს „აგროპროდუქტი“

სასათბურე მეურნეობის

(თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელეს ტერიტორია)

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი“

დირექტორი თ.კეპულაძე
მობ: 591 157272

შპს „აგრო პროდუქტი“

დირექტორი ი. გაფრინდაშვილი
მობ. 555 48 52 59

თერჯოლა 2022

შინაარსი

1. შესავალი 3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა 4
3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი 11
4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი. 11
5. წყალაღება და დაგეგმილი სარწყავი სისტემა 14
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 19
   6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება 19
   6.2. ხმაურის ზემოქმედება 20
   6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე 21
   6.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე 21
   6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები 21
   6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 22
   6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 22
   6.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 22
   6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე 22
   6.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება 23
   6.11. კუმულაციური ზემოქმედება 23
   6.12. ტრანსასაზღვრო ზემოქმედება 24

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 25

დანართი 1. 26

1. შესავალი

შპს „აგრო პროდუქტი“-ს (ს/კ 405324484), შპს „ჭიათურმანგანუმჯორჯია“-საგან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირღელეს ტერიტორიაზე, იჯარით აღებული აქვს სასათბურე მეურნეობა,რომლის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი აქვს დამოუკიდებელი სარწყავი სისტემის მოწყობა. სათბურში ნარგავების მოსარწყავად წყლის აღება მოხდება მდ. ჭიშურადან.

რადგან სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1.3. პუნქტით გათალისწინებულ საქმიანობას და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „აგრო პროდუქტი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თბილისი, საბურთალოს რაიონი. გურამ ფანჯიკიძის ქ. N3ა, ბN3
საქმიანობის განხორციელების მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელეს ტერიტორია.
საქმიანობის სახე	აგროპროდუქტების მოყვანა-რეალიზაცია
დირექტორი	იოსებ გაფრინდაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	555 48 52 59
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 157272
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელე
წყალაღების ობიექტი	მდ. ჭიშურა
სასათბურე მეურნეობის განთავსების ადგილი	შპს „ჭიათურმანგანუმ-ჯორჯია“-საგან იჯარით აღებული არასაოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკ.კოდე 33.04.37.327)
საპროექტო წყალაღება (მაქსიმალური)	7 $მ^3$/სთ
რწყვის მეთოდი	წვეთოვანი სისტემა

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „აგრო პროდუქტი“-ს იჯარით აღებული სასათბურე მეურნეობა განთავსებულია შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ არასასოფლოსამეურნეო მიწის ნაკვეთებზე (საკ.კოდი 33.04.37.327), ნაკვეთის აღმოსავლეთ ნაწილში (ნახაზი1.1.).

ნახაზი1.1.ნაკვეთის გეგმა

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს განთავსებული აქვს ფეროშენადნობთა საწარმო, რაზედაც 2019 წლის 17ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-552 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. სასათბურე მეურნეობა წლის ცივ პერიოდში თბება მეტალურგიული საწარმოს ღუმელების გაგრილების სისტემის ცხელი წყლის ხარჯზე. მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ბოილერი, რომლითაც ცხელი წყალი მოეწოდება სასათბურე მეურნეობას.

სასათბურე მეურნეობის ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია N2.2. ნახაზზე და N2.1. ცხრილში.

ნახაზი2. სასასათბურე მეურნეობის განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია.

ცხრილი2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის წვეროთა კოორდინატები

N	x	y
1	319198	4675624
2	319307	4675583
3	319267	4675479
4	319162	4675522
5	319173	4675555

6	319144	4675565
7	319152	4675588
8	319179	4675579

სასათბურე მეურნეობას დასავლეთით უშუალოდ ესაზღვრება ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას ფეროშენადნობი ქარხანა (სურათი 2.1.), დასავლეთით ასევე განთავსებულია შპს „ვიქტორია 2017“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო, მდინარე ჭიშურა, ამორტიზებული შენობები და ქვიშახრეშის სამსხვრევი ხაზები, ჩრდილოეთით შპს „ჯორჯიან-მანგანეზის“ ტერიტორია (სურათი 2.2.), თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი (სურათი 2.3.), გზის მეორე მხარეს გათავსებულია სოფ. ნახშირღელე (სურათი 2.4.); სამხრეთიდან- E 60 ავტომაგისტრალის ჭიშურა-არგვეთას მონაკვეთი და მდ.ყვირილა. აღნიშნული ობიექტებიდან განსახილველ ტერიტორიებამდე დაშორებები შეადგენს:

- უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე- 466 მ;
- ზესტაფონი-ქუთაისის საავტომობილო გზამდე- 380 მ;
- მდ.ჭიშურამდე- 639 მ;
- მდ.ყვირილამდე- 496 მ;
- E60 ავტობანის მონაკვეთამდე-15 მ;

სურათი 2.1. ფეროშენადნობთა საწარმო

სურათი 2.2. ჯორჯიან მანგანეზის ტერიტორია

სურათი 2.3. ზესტაფონი ქუთაისის ავტომაგისტრალი

სურათი 2.4. სოფ. ნახშირღელე

სასათბურე მეურნეობის ტერიტორიის სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე N2.3, ხოლო უახლოეს ინფრასტრუქტურულ ობიექტებამდე მანძილი ნახაზზე N2.4.



ნახაზი 2.3.განსახილველი ტერიტორიის სიტუაციური გეგმა.


სოფელი
ნახშირღელე
E60
ავტომაგისტრალი
Tbilisi - Senaki - Leselidze HWY
380 მ
466 მ
639 მ
მდ.
ჭიშურა
E60
ავტომაგისტრალი
Bypass
494 მ
Kvirila
ნახაზი 2.4.

3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი

სასათბურე მეურნეობის სამუშაო რეჟიმი შეადგენს 365 დღე წელიწადში და 24 საათი დღე-ღამეში.

სასათბურე მეურნეობის მწარმოებლურობა დამოკიდებულია ნარგავების ტიპზე.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა შეადგენს 10 კაცს, სასათბურე მეურნეობას 24 საათიანი მეთვალყურეობა არ სჭირდება, შესაბამისად თანამშრომლები იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით, ორ ბრიგადად.

4. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი.

სასათბურე მეურნეობის ძირითად ინფრასტრუქტურას წარმოადგენს 2 ერთეული სათბური (სურათი 4.1.), თითოეული 6000 $მ^2$ ფართობის და ერთი დამხმარე სათავსო.
აჟამად მოქმედია ერთი სათბური.
დამხმარე მეურნეობის სათავსოში დადგმულია წყლის სამარაგო რეზერვუარი 100 $მ^3$-ის მოცულობის (სურათი 4.2.), სარეაგენტო ავზები, რომლებშიდაც ხდება წყალში სასუქების გახსნა, სარწყავად მომზადებული წყლის ავზი, 5 $მ^3$-ის მოცულობის (სურათი 4.3.), ურიკები სათბურებიდან აგროპროდუქტების გამოსაზიდად და სხვა საჭირო მოწყობილობები და მასალები. მეურნეობაში ინახება ასევე ნარგავებისათვის საჭირო მინერალური სასუქები.
სასათბურე მეურნეობაში არ გამოიყენება შხამქიმიკატები და მავნებლებთან ბრძოლის სხვა საშუალებები. კომპანია ორიენტირებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე. მეურნეობაში ძირითადად მოჰყავთ კიტრისა და პომიდვრის კულტურები.
ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ჩითილების შესყიდვას და ჩარგვას ბიოდეგრადირებად ტომრებში წინასწარ გამზადებულ ქოქოსის სუბსტრაქტზე. ტომრები დაწყობილია მწკრივებში (სურათი 4.4.). ჩითილი ირწყვება წვეთოვანი სისტემით. გაზრდის პარალელურად იკვრება მავთულებზე. ჩითილის სიცოცხლის ხანგრძლივობა 4-5 თვეა. მსხმოიარე იწყება 4-5 კვირის შემდეგ (სურათი 4.5.).
ქოქოსის სუბსტრაქტი მრავალჯერადი გამოყენებისაა, მისი შესყიდვა ხდება ბაზარზე არსებული მომწოდებლებისაგან. ტომრის დაშლის შემდეგ მასა გამოიყენება შპს „აგროპროდუქტის“ მიერ, ნიადაგის დანამატად (კომპოსტად).
მორწყვის ტექნოლოგიური პროცესი არ ითვალისწინებს წყლის დანაკარგს. შესაძლებელია ტომრებიდან გამოჟონოს წყალმა, რომელიც იკრიბება ტომრების ქვეშ არსებული ღარებით და გროვდება სათბურის ყველაზე დაბალ ნიშნულზე ჭაში (სურათი 4.6.). შეგროვების შემდეგ ისევ გამოიყენება მოსარწყავად.

სურათი 4.1.

სურათი 4.2.

სურათი 4.3.

სურათი 4.4.

სურათი 4.5.

სურათი 4.6.

5. წყალაღება და დაგეგმილი სარწყავი სისტემა

სასათბურე მეურნეობას წყალი ესაჭიროება საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისათვის, სათბურების გათბობის სისტემისათვის და სარწყავად.

შპს „აგრო პროდუქტი“-ს არ აქვს ცალკე საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსო. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალსარგებლობა ხდება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ წყალაღების ხარჯზე, სათბურის თანამშრომლები სარგებლობენ კომპაიის საყოფაცხოვრებო სათავსოთი.

სათბურების გათბობა ხდება მეტალურგიული საწარმოს გაგრილების სისტემის წყლით, მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია ცხელი წყლის სატუმბი სისტრემა, რომლითაც ღუმელების გაგრილების სისტემიდან გამოსული წყალი საჰაერო მილებით მიეწოდება სათბურებს, სათბურებიდან ცირკულირდება ღუმელების გაგრილების სისტემაში. სისტემა დახურულია.

შპს „აგრო პროდუქტი“-ს სასათბურე მეურნეობის სარწყავი წყალმომარაგება დაგეგმილი აქვს მდ. ჭიშურადან. შემდეგ GPS კოორდინატზე x-318458, y-4675693 მოეწყობა სატუმბი სადგური (სურათი 5.1.), რომლითაც მდინარიდან აღებული წყალი მიეწოდება დამხმარე მეურნეობის სამარაგო ავზს.

მდ. ჭიშურა განთავსებულია ტყიბულისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, სათავეს იღებს სოფ. ცუცხვათის ქვაბულში ზ.დ. 620 მ-ის სიმაღლეზე. მდინარის სიგრძეა 14 კილომეტრი, აუზის ფართობი — 53,5 კვ.კმ. საზრდოობს წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლით. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან — 1,76 კუბ.მ/წმ.

მდ. ჭიშურა ნახშირღელეში ერთვის მდინარე ყვირილას. ნახშირღელის მიდამოებში ჭიშურა 3 კ/მ მანძილზე მიედინება, ამ მიდამოებში მრავლად არის წყაროები რომლითაც მდინარე ჭიშურა საზრდოობს,

სათბურებზე წყლის მიწოდება გათვალისწინებულია 60 მმ-იანი პლასტმასის მილით, რომელიც განთავსდება მიწაში, 0,3-0,4 მ.-ის სიღრმეზე. სარწყავი მილის საერთო სიგრძე იქნება 700 მეტრი, აქედან 560 მ განთავსდება მიწაში, ხოლო 140 მეტრი იქნება საჰაერო.

მილის მარშრუტი შერჩეული იქნა ტერიტორიის რელიეფის, მიწის ნაკვეთების დანიშნულებისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. მარშრუტი შემდეგია: თავდაპირველად მარშრუტი გაივლის სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი N33.04.37.462. შემდგომ ორი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საზღვარზე (ღობის გასწვრივ (სურათი 5.2.)). ნაკვეთები რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში. განთავსდება გრუნტის გზის კიდეზე, გაივლის შპს „ვიქტორია 2017“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს ტერიტორიის ჩრდილოეთით (სურათი 5.3.) და განთავსდება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მეტალურგიულ საამქრომდე (სურათი 5.4.).

საამქროსთან მილი ამოვა მიწიდან და გაყვება ბოილერის არსებულ მილგაყვანილობას სათბურებამდე (სურათი 5.5. და 5.6.).

დაგეგმილი მილგაყვანილობის მარშრუტი და პოზიცია სიტყვიერად შეთანხმებულია მიწის ნაკვეთების მფლობელებთან.

მილგაყვანილობის სავარაუდო მარშრუტი დატანილია ნახაზზე 5.1.

სურათი 5.1. წყალაღების სავარაუდო ტერიტორია

სურათი 5.2. სასოფლო მიწების საზღვარი (ღობე)

სურათი 5.3. მილის სავარაუდო მარშრუტი გზის გასწვრივ

სურათი 5.4. წყლის მილის განთავსევის სავარაუდო ტერიტორია

სურათი 5.5. ბოილერის საჰაერო მილები

სურათი 5.6. სათბურის გათბობის მილები

ნახაზი 5.1. სარწყავი სისტემის მილგაყვანილობის მარშრუტი



სათბურების წყლის გამოყენების სქემა შემდეგია: მდინარიდან აღებული წყალი ისხმება 100 $მ^3$-ის მოცულობის სამარაგო რეზერვუარში. რეზერვუარიდან ისხმება 5 $მ^3$-იან რეზერვუარში, რომელშიდაც ერევა წინასწარ მომზადებული დანამატები. რეზერვუარიდან ტუმბოს საშუალებით დანამატებიანი წყალი მიეწოდება სარწყავ წვეთოვან სისტემას. დღის განმავლობაში სათბური ირწყვება 10 საათის განმავლობაში. სამომავლოდ, შესაძლებელია სათბურმა იმუშაოს სპეციალურ რეჟიმში, ღამის ლედ განათებით და 20 საათიანი მორწყვის პირობებში.

სათბურების რეგულარული რწყვისათვის საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 7 $მ^3$/სთ. აღნიშნულის გათვალისწინებით სასათბურე მეურნეობისათვის საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს: 140 $მ^3$/დღ. სასათბურე მეურნეობის მუშაობის რეჟიმი წელიწადში 365 დღიანია, რწყვისათვის საჭირო წყლის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 51 100 $მ^3$/წელიწადში.

სათბურის რწყვის პროცესი არ ითვალისწინებს ჩამდინარე წყლების წარმოქმნას. რწყვის დროს შესაძლებელია წყლის გამოჟონვა, რომელიც იკრიბება სასათბურის იატაკზე და გროვდება შემკრებ ჭაში, საიდანაც ისევ მიეწოდება სარწყავ სისტემას.

ამდენად, სარწყავი სისტემის მოწყობის შედეგად ჩამდინარე წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია არ ითვალისწინებს ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროების მოწყობას, ხმაურის წარმოქმნა-გავრცელებას, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას. ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ წყალაღებით. მიუხედავად ამისა მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია ყველა შესაძლო მიმართულებით.

6.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების არსებობა, შესაბამისად მისი მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.2. ხმაურის ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა არ არის დაკავშირებული მძიმე ტექნიკის გამოყენებასთან, რადგან დაგეგმილი მილგაყვანილობის მოწყობა უნდა მოხდეს ხელის სამუშაოებით.

ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის ამოღება მდინარიდან მოხდება დაბალი წარმადობის ტუმბოს საშუალებით, რომლის მაქსიმალური ხმაურის დონე 60 დბ-ია. ტუმბო დადგმული იქნება მდინარის ხეობაში. დასახლებული პუნქტიდან 500 მ-ზე მეტ მანძილზე (ნახაზი 2.1.) და ჰიფსომეტრულად 20 მ-ით დაბალ ნიშნულზე. ამდენად მისი ხმაურით ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.



ნახაზი 6.1.

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე

სარწყავი სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია ლანდშაფტზე რაიმე ზემოქმედებას ვერ იქონიებს, რადგან ვიზუალურ ცვლილებებს არ გამოიწვევს.

წყალმიმღების ტუმბოს განთავსება დაგეგმილია უკვე არსებული წყალმიმღები გუბურიდან, რომლითაც სარგებლობს შპს „ვიქტორია 2017“. წყლის მილი განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, საჰაერო მილი კი გაყვება უკვე არსებულ მილგაყვანილობას.

შესაბამისად ლანდშაფტზე რაიმე ზემოქმედება გამორიცხულია.

6.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

სარწყავი სისტემის მოწყობით ზედაპირული წყლის ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელია წყალაღებით.

დაგეგმილია მდ. ჭიშურადან წყლის ამოღება 7 მ^3/სთ ოდენობით, დღეში 20 საათიანი მუშაობისას 140 მ^3-ის ოდენობით.

თუ გავითვალისწინებით მდ. ჭიშურას საშუალო მრავალწლიურ ხარჯს (1,76 მ^3/წმ), საათში 7 მ^3 (0,00194 მ^3/წმ) წყლის აღება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას მდინარის ხარჯზე.

ობიექტის წყალსარგებლობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, ზედაპირულ წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

სისტემის მოწყობის სამუშაოები ითვალისწინებს მდინარის სანაპიროზე, არსებულ წყალმიმღებ გუბურასთან ტუმბოს დადგმას, პოლიეთილენის მილის მიწაში და მიწის ზემოთ განთავსებას.

მოწყობის სამუშაოები შესრულდება ხელით. სამუშაოების დროს ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე ასევე არ არის მოსალოდნელი ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენი შესაძლებელია წარმოიქმნას საჰაერო მილის დაზიანების შემთხვევაში, მისი აღდგენის პროცესში. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია 4-5 კგ-მდე პლასტმასის მილის ნარჩენის წარმოქმნა, რომელიც არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს.

სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლის მართვა ხდება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურს მიერ შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სასათბურე მეურნეობაში გამოყენებული ტექნიკის, ტუმბოების ექსპლუატაციის შედეგად, შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენი, რომელიც შეგროვებული იქნება ჰერმეტულ კონტეინერებში. ნარჩენი შესაძლებელია იყოს ასევე გამოყენებული სასუქების შესაფუთი მასალა, რომელიც შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

6.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

სარწყავი სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია სატრანსპორტო ნაკადებზე გავლენას არ მოახდენს, რადგან არც მოწყობა და არც ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის სატრანსპორტო გადაზიდვებთან.

6.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო საწარმოს განთავსების ადგილის უახლოეს დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს აჯამეთის აღკვეთილი (მდებარეობს დასავლეთით, ობიექტიდან 5 კმ მანძილის დაშორებით). სარწყავი სისტემის მოწყობა მასზე რაიმე გავლენას ვერ მოახდენს.

საწარმოს გავლენის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.8. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მის ექსპლუატაციას არ სჭირდება დამატებითი მუშახელი, შესაბამისად გავლენას ვერ იქონიებს დასაქმებული ადამიანების რაოდენობაზე.

სარწყავი სისტემის მოწყობით გაუმჯობესდება სასათბურე მეურნეობის ექსპლუატაციის პირობები, შესაძლებელი გახდება სათბურის დღე-ღამურ რეჟიმზე გადაყვანა. აღნიშნული გაზრდის სათბურის პროდუქტიულობას, რაც დადებითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

6.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ სამუშაოებთან. მისი ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი არ არის ავარიული სიტუაციები, რასაც შესაძლებელია თან მოყვეს ადამიანების დაშავება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.10. ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა ითვალისწინებს მცირე მოცულობით მიწის სამუშაოებს. მილის მიწაში განსათავსებლად უნდა მოხდეს მიწის ამღება 40 სმ-მდე სიღრმეზე, მილის განთავსება და მიწისა და გრუნტის უკან ჩაბრუნება. მარშრუტის გათვალისწინებით სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს ხელით, ბარისა და ნიჩბის გამოყენებით. სამუშაოების შერულების დროს მოსალოდნელი არ არის ნიადაგის ან/და გრუნტის დაბინძურება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა. შესაბამისად მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

ექსპლუატაციის ეტაპზე სარწყავი სისტემით ნიადაგისა და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

განსახილველი სარწყავი სისტემის მოწყობით ზემოქმედება მოსალოდნელია ზედაპირული წყლის ობიექტზე, წყალაღებით. წყალაღების დაგეგმილ მონაკვეთზე მდ. ჭიშურადან წყალაღებას ახორციელებს შპს „ვიქტორია 2017“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო და შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მეტალურგიული საწარმო . ეს უკანასკნელი წყალაღებას ახორციელებს ავტოცისტერნით.

ვიქტორია 2017-ს მდ. ჭიშურას სანაპიროზე მოწყობილი აქვს წყალმიმღები გუბურა, რომელშიც შემოედინება მდინარის წყალი (სურათი 6.1.). ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყალაღება დაგეგმილია აღნიშნული გუბურადან.

სურათი 6.1.

სარწყავი სისტემის წყალაღება იქნება 7 მ³/სთ (0,00194 მ³/წ.), ხოლო ვიქტორია 2017-ის წყალაღება შეადგენს 120 მ³/სთ (0,03 მ³/წ.). ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას მაქსიმალური წყალაღება შეადგენს 5 მ³/სთ (0,00138 მ³/წმ) (წყალაღება ხდება 5 მ³-იანი ავტოცისტერნით, საათში შესაძლებელია ერთი ავსება). სამივე ობიექტის ჯამური წყალღება შეადგენს 7+120 +5 =132 მ³/სთ (0,036მ³/წმ). ობიექტების წყალაღების კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯია 1,76 მ³/წმ, რაც წყალმოსარგებლეების მოთხოვნაზე 48-ჯერ მეტია. შესაბამისად სამივე ობიექტის ერთდროული მუშაობის დროს წყალაღება შეადგენს მდინარის საშუალო ხარჯის 2 %-ს, რაც ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, ამასთან შპს „ვიქტორია 2017“ ტექნიკურ წყალს გაწმენდის შემდეგ ისევ აბრუნებს მდინარეში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ზედაპირულ წყალზე ზემოქმედების კუმულაციური ეფექტი იქნება დაბალი.

სხვა მიმართულებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

6.12. ტრანსასაზღვრო ზემოქმედება

სარწყავი სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციით, მისი განთავსების ტერიტორიის მდებარეობისა და დაგეგმილი მასშტაბის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დანართები

დანართი 1.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

იჯარის შესახებ

თბილისი

22 მაისი 2019 წ.

ერთი მხრივ, **შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“** , წარმოდგენილი მისი დირექტორის **მამია ბერიძის** სახით (შემდგომში: „მეიჯარე“) და მეორე მხრივ, **შპს „აგრო პროდუქტი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **მირიან ქავთარაძის** სახით (შემდგომში: „მოიჯარე“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ დროებით სარგებლობაში იღებს „მეიჯარის“ საკუთრებაში არსებულ 12 000 კვ.მ სასათბურე მეურნეობას (შემდგომში „იჯარის ობიექტი“), რომელიც მდებარეობს „მეიჯარის“ კუთვნილი ნახშირლელის ფეროშენადნობი ქარხნის ტერიტორიაზე.

1.2. მოიჯარეს იჯარის ობიექტი გადაეცემა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სასათბურე მეურნეობის წარმოებით.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. მეიჯარე ვალდებულია:

2.1.1 კეთილსინდისიერად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2.1.2 უზრუნველყოს მოიჯარის გამართული კომუნიკაციებით (წყალი, გაზი, დენი, ცხელი წყალი, რომელიც უზრუნველყოფს სათბურებში არანაკლებ 16 გრადუს სითბოს, კანალიზაცია). იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა ჩამოსცდება 16 გრადუსს მოიჯარე ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მეიჯარეს, ხოლო მეიჯარე ვალდებულია შეტყობინებიდან 12 საათის განმავლობაში განახორციელოს ტემპერატურის აწევა. მეიჯარე თავისუფლდება ამ პუნქტით გათვალისწინებული 16 გრადუსი სითბოს შენარჩუნების ვალდებულებისაგან, თუ სათბურს გარეთ ტემპერატურა ჩამოცდება 0 გრადუსიან ნიშნულს.

2.1.3 უზრუნველყოს მესამე პირებისაგან ყველა იმ ხელშეშლის აღკვეთა, რომელიც აბრკოლებს საიჯარო ქონებით სარგებლობას;

2.1.4 აცნობოს მოიჯარეს საიჯარო ქონების ყველა ნაკლის შესახებ და გაუწიოს ინფორმაციული ხასიათის დახმარება საიჯარო ქონების უკეთ გამოყენების მიზნით;

2.1.5 ხელი შეუწყოს "მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (ცნობა, ნებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, იჯარის საგნით სარგებლობის პროცესში, მათ შორის „მეიჯარესთან" შეთანხმებული რეკონსტრუქციის ან სხვა გადაკეთების განხორციელებისას, ნებისმიერი სახის ლიცენზიის ან/და ნებართვის მიღების პროცესში;

2.1.6 საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით არ დადოს ისეთი გარიგება, რამაც შიძლება გააძნელოს ან შეუძლებელი გახადოს „მოიჯარის" მიერ ამ ხელშეკრულების შესრულება;

2.2 მეიჯარე უფლებამოსილია:

2.2.1 მოსთხოვოს მოიჯარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.2.2 მოსთხოვოს მოიჯარეს იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულ იქნა მოიჯარის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არ აღმოფხვრის ამ ნაკლოვანებებს შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღეში და თუ მოიჯარის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანი ან ხელი შეუშალოს მეიჯარეს სხვა ქონებით სარგებლობაში, მოიჯარე წინასწარ აძლევს თანხმობას მეიჯარეს შევიდეს საიჯარო ქონებაში და აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლი. ნაკლის აღმოფხვრის ხარჯები ანაზღაურებულ იქნება მოიჯარის მიერ.

2.2.3 მოსთხოვოს მოიჯარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროულად და სრულად ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

2.3 მოიჯარე ვალდებულია:

2.3.1 იჯარის ობიექტი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ და უზრუნველყოს მისი უსაფრთხოებისათვის და დაცულობისათვის აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული და უსაფრთხოების ზომების მიღება და შესაბამისი წესების დაცვა;

2.3.2 დროულად და სრულად გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა;

2.3.3 მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იჯარის ობიექტის დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად;

2.3.4 აცნობოს მეიჯარეს ყველა საკითხის ან გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საიჯარო ქონების მდგომარეობის გაუარესებაზე;

2.3.5 დროულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

2.3.6 ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად აწარმოოს საიჯარო ქირის მეიჯარისათვის გადახდა.

2.4 მოიჯარე უფლებამოსილია:

2.4.1 მეიჯარისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

2.4.2 მოიჯარე უფლებამოსილია, მეიჯარის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც აუცილებელია მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის, მათ შორის, შეცვალოს შენობის შიდა სტრუქტურა და განახორციელოს შიდა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები, მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. საიჯარო ქონებაზე განათავსოს საკუთარი სამეწარმეო საქმიანობისათვის საჭირო რეკლამა, საიჯარო ქონებაში გამოიყენოს ბანერები და სხვა საშუალებები, დაამონტაჟოს სხვადასხვა სახის ინვენტარი და მოწყობილობები. მეიჯარეს უფლება აქვს უფლების მინიჭებაზე უარი განაცხადოს მხოლოდ დასაბუთებულად.

2.4.3 გამოიყენოს ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორება

3.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული „იჯარის ობიექტის" საიჯარო ქირის ოდენობა 2019 წლის 22 მაისიდან 2020 წლის 22 მაისამდე პერიოდისთვის შეადგენს 100 000 (ას ათასი) ლარს დღგ-ს გარეშე, ხოლო 4.1. პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შემთხვევაში 2020 წლის 22 მაისიდან 2021 წლის 22 მაისამდე პერიოდისთვის შეადგენს 150 000 (ას ორმოცდაათ ათასი) ლარით დღგ-ს გარეშე.

3.2 პირველი წლის საიჯარო ქირის დაფარვა განხორციელდება 2019 წლის 20 ნოემბრიდან 2020 წლის 20 მაისამდე პერიოდში ყოველთვიურად შესაბამისი პროპორციულობით, ხოლო ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში მეორე წლის საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად საანგარიშო თვის ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

3.3 მოიჯარის მიერ ქირის გადახდა ხორციელდება მეიჯარის ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის ფორმით.

3.4 მოიჯარე ასევე გაიღებს ობიექტის ელ. ენერგიით მომარაგების ხარჯებს, რომლის აღრიცხვაც განხორციელდება სპეციალურად ამისთვის მოწყობილი ცალკე აღრიცხვის კვანძით.

3.5 მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარუდგინოს მეიჯარეს ხელშკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის გარანტია 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადაც არ უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ნაკლები. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება 4.1 პუქნტის შესაბამისად, მოიჯარე ვალდებულია გააგრძელოს გარანტიის ვადაც.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადა, ძალაში შესვლა და შეწყვეტა (მოშლა)

4.1 ხელშეკრულება იდება 1 (ერთი) წლის ვადით და ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. თუ მხარეები 2020 წლის 01 მაისამდე არ აცნობებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გზით, ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება 1 წლის ვადით.

4.2 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ასეთ შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან მისცენ მეორე მხარეს დამატებითი 10 დღიანი ვადა ვალდებულებათა შესასრულებლად, აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში კი შეწყვიტონ ხელშეკრულება.

4.3 მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის გრაფიკის 2 თვეზე მეტი ხნის გადაუხდელობის შემთხვევაში მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, მოიჯარის მიმართ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ვადამდე მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება;

მუხლი 5. პასუხისმგებლობა და უფლებამონაცვლეობა

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი/ზიანი სრული ოდენობით.

5.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობები, მხარეთა რეორგანიზაციის, მესაკუთრეთა შეცვლისა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში არსებული სახით გადადის უფლებამონაცვლეებსა და სამართალმემკვიდრეებზე.

5.4. იჯარის ობიექტის განზრახ ან გაუფრთხილებლობით განადგურებისა ან დაზიანების რისკი დაკისრებული აქვს მოიჯარეს.

მუხლი 6. უნაკლო იჯარის ობიექტი

6.1. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე განხორციელდა საიჯარო ქონების ინსპექტირება. მოიჯარე ადასტურებს, რომ საიჯარო ქონება ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის უნაკლოა და მას ქონების მდგომარეობის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნია.

6.2. ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც უნდა აისახოს გადაცემის დროისათვის იჯარის ობიექტის არსებული მდგომარეობა.

6.3. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იჯარის ობიექტის მეიჯარისათვის დაბრუნების თაობაზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.4. იჯარის ობიექტის მოვლა-შენახვისა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით მოიჯარე ვალდებულია ყოველი მოთხოვნისთანავე (დაუშვას მეიჯარის კანონიერი წარმომადგენლები) იჯარის ობიექტის ინსპექტირების განსახორციელებლად.

6.5. იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოშლის შემდგომ, მოიჯარის მიერ განხორციელებული იჯარის ობიექტის გაუმჯობესება განიხილება მეიჯარის საკუთრებად ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

7.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში მხარეს უფლება არა აქვს დაეყრდნოს ფორს-მაჟორს.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. მოიჯარეს, მეიჯარის წერილობითი თანხმობის გარეშე, არა აქვს ქვეიჯარის უფლება.

8.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ამ ხელშეკრულების საერთო შინაარსის და პრინციპების ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეიძენს იურიდიულ ძალას.

8.5. ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ყველა სახის გაუმჯობესება და ნამატი იჯარის ობიექტზე, ყოველგვარი ანაზღაურების ვალდებულების გარეშე, ეკუთვნის მეიჯარეს.

8.6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში საქმე განიხილება საქართველოს სასამართლოში განსჯადობის მიხედვით.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე	მოიჯარე
შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორია“	შპს „აგრო პროდუქტი“
მის: თერჯოლა, ნახშირღელე.	მის: თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქ. N3ა, ბ. N3
ს/კ 215147874	ს/კ : 405324484
ბანკი: საქარველოს ბანკი	ბანკი: თიბისი ბანკი
ა/ნ: GE49BG0000000408668300GEL	ა/ნ: GE97TB7[illegible]36080100011GEL
მაია ბერიძე	[illegible] ბერიძე

შეთანხმება

(2019 წლის 22 მაისის იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა შესახებ)

ქ. თბილისი **05 მაისი, 2021წ.**

ჩვენ, ერთი მხრივ, **შპს „ჰიათურმანგანუმ ჯორჯია" (ს/კ 215147874)**, წარმოდგენილ მისი დირექტორის **მამია ბერიძის** სახით, შემდგომში „მეიჯარე" და მეორე მხრივ, **შ „აგრო პროდუქტი" (ს/კ 405324484),** წარმოდგენილი მისი დირექტორის **იოსე გაფრინდაშვილს** სახით, შემდგომში „მოიჯარე", ვხელმძღვანელობთ რა საქართველ კანონდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2019 წლის 22 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულები მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„მეიჯარე"

შპს „ჰიათურმანგანუმ ჯორჯია"
დირექტორი

_____

მამია ბერიძე

„მოიჯარე"

შპს „აგრო პროდუქტი"
დირექტორი

_____

იოსები გაფრინდაშვილი